ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანალიზი

აკრედიტაციის სფერო:

სამშენებლო ობიექტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის/ინსპექტირება.

ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან საქართველოს მთავრობის დადგენოლება № 255 (2019წ. 31მაისი) მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ.

„შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნების ტექნიკურ რეგლამენტთან (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016/01/28. შეტანილი ცვლილების №498 2017/20/11.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ობიექტი:

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი. ვეფხვისტყაოსნის ქუჩა №20-22. (ს/კ 01.72.14.035.963.) მრავალფუნქციური შენობა.

დამკვეთი:

შპს “ემ სი” ს/ნ 402043481

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი

არქიტექტორი დავით კურდღელია (პ/ნ 19001006629). არქიტექტორად მუშაობის სტაჟი-17 წელი. ტელ. 555 55 55 30

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განცხადების შინაარსი:

ქ. თბილისი, სოფელ დიღომში ვეფხვისტყაოსნის ქუჩა №20-22-ში, მრავალფუნქციური შენობის, პროექტის შესაბამისობის დადგენა „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნების ტექნიკურ რეგლამენტთან (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016/01/28. შეტანილი ცვლილების №498 2017/20/11. საქართველოს მთავრობის დადგენოლება № 255 (2019წ. 31მაისი) მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ.

ინსპექტირებაზე (ექსპერტიზაზე) წარმოდგენილი პროექტის შემსრულებელი.

შპს “ემ სი” ს/ნ 402043481 ტელ. 595 65 55 05

ინსპექტირებაზე (ექსპერტიზაზე) დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციები:

1. პროექტის ელ. ვერსია:

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების თარიღი ან პერიოდი: 8/11/2021—12/11/2021.

დასკვნა

ქ. თბილისი, სოფელ დიღომში ვეფხვისტყაოსნის ქუჩა №20-22-ში, მრავალფუნქციური შენობის, პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის #41, 2016/01/28. ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი ცვლილების №498, 2017/20/11.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №132 განკარგულების მიხედვით.

წარმოდგენილ პროექტს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი:
იხ. დანართი #1

გამოკვლევა

ქ. თბილისი, სოფელ დიღომში ვეფხვისტყაოსნის ქუჩა №20-22-ში, მრავალფუნქციური შენობის, პროექტის არქიტექტურული ნაწილის, შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, რომელიც მოიცავს:

დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

კონსტრუქცის ტიპების შეფასებას;

სიმაღლის და ფართობის შეფასებას;

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

მისაწვდომობის შეფასებას;

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასებას;

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

საჭიროების შემთხვევაში სხვა მოთხოვნების შეფასებას.

პროექტის განხილვა ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად

1. დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

3. თავის დებულებები არეგულირებს ყველა შენობისა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ხუთი დაკავებულობის ჯგუფი

1. სასაწყობე ჯგუფი სწ-2 ქვეთავი 311. 311.3 (დახურული ავტოსადგომი - გარაჟი)
2. დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს. ქვეთავი 312 (სატუმბი დანადგარებისა და მექანიკური მოწყობილობების ოთახი.)
3. სავაჭრო ჯგუფი სვ. ქვეთავი 309
4. საქმიანი ჯგუფი სქ. ქვეთავი 304
5. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2. ქვეთავი 310. 310.4

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -1 სართულზე - 3.00 ნიშნულზეა შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი რომელიც კლასიფიცირედება როგორც სასაწყობო ჯგუფის დაკავებულობა (ქვეჯგუფი სწ-2). ასევე -3.00 ნიშნულზეა განლაგებულია დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს. სატუმბი დანადგარებისა და მექანიკური მოეწყობილობების ოთახი.

მიწისპირა 1 სართულზე განლაგებული სავაჭრო (სვ.) ჯგუფის დაკავებულობები (სავაჭრო ფართები).

მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სართულის ნაწილზეა განლაგებული სქ. საქმიანი დაკავებულობის ჯგუფი (საოფისე ფართობები).

მე-5 სართულიდან +13,10 ნიშნულიდან მე-11 სართულის +32.90 ნიშნულის ჩათვლით განლაგებული სც-2. საცხოვრებელი დაკავებულობის ჯგუფი (საოფისე ფართობები).

თითოეული ჯგუფის დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა ინდივიდუალურად არის შეფასებული წესების მოთხოვნებიდან გამომდიანრე კერძოდ:

1. სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -3.00 ნიშნულზეა განლაგებული, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18,6 (ავტოსადგომი გარაჟები) წესების - 1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად. -1 სართულზე დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 43 დამკავებელს.

ავტოსადგომები აკმაყოფილებს 406.6 .1 – 406.3 ქვეთავის მოთხოვნებს,406.5.11 ქვეთავით განსაზღვრულ აკრძალვებს. ასევე, გათვალისწინებულია 508.1 ქვეთავი თ და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, ავტოსადგომი (სწ-2). სავაჭრო ჯგუფის (სვ) დაკავებულობისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში) თარაზული ანაწყობით და კედლებით, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს. შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები, ასევე აკმაყოფილებს წესების 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე მოთხოვნილ მინიმუმზე მეტია. მინიმუმ 2.6 მეტრი, ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს მოთხვნილ მინიმუმს 5.5 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების 406.9.4 ქვეთავის შესაბამისად, პანდუსი მოწყობილია წესების 406.9.4.4. ქვეთავის მიხედვით.

2. დამხმარე დანიშნულების შენობები, ნაგებობები და სხვადასხვა ნაგებობა, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს, უნდა აიგოს, აღიჭურვოს და შენარჩუნდეს წესების მოთხოვნათა შესაბამისად, მათი დაკავების დროს ხანძრისა და სიცოცხლისათვის შესაძლო საფრხის გათვალისწინებით. წარმოდგენილ პროექტში დს. ჯგუფის დაკავებულობა განლაგებულია -1 სართულზე, სატუმბი დანადგარებისა და მექანიკური მოწყობილობების ოთახი და მისი განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი -27,9 თითო დამკავებელზე. წესების 1004 ქვეთავის 1004.1.2

ცხრილის შესაბამისად -1 სართულზე დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1 დამკავებელს.

3. სავაჭრო ჯგუფი სვ. (სავაჭრო ფართობები 0,00 ნიშნულზეა) განლაგებული წესების 309 ქვეთავის მიხედვით. აღნიშნული დაკავებულობა სავაჭრო ჯგუფი (სვ). სხვებთან ერთად, მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის., სვ. ჯგუფის დაკავებულობებისთვის, სავაჭრო ფართობები, რომლებიც მდებარეობს 0,00 ნიშნულზე პირველ სართულზე განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 2,4 თითო დამკავებელზე. წესების 1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად 1 სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 239 დამკავებელს.
საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამიჯვნის მიმართ მოთხოვნები, სავაჭრო ჯგუფი (სვ), მის მომიჯნავედ/ზედა სართულზე მდებარე საქმიანი (სქ) და ქვედა სართულზე მდებარე სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საქმიანი ჯგუფი სქ. განლაგებული წესების 304.1ქვეთავის მიხედვით. აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის, საოფისე ოთახებისთვის, რომლებიც მდებარეობს მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სართულის ნაწილზეა განლაგებული. განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 9,3 (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) წესების 1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად მე-2 სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 78 დამკავებელს. მე-3 სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 94 დამკავებელს. მე-4 სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 75 დამკავებელს. მე-5 სართულის ნაწილის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 50 დამკავებელს. სულ სქ. დაკავებულობის დატვირთვის ჯამია 297 დამკავებელი.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი (სქ), მის მომიჯნავედ მდებარე დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,

5. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი სც**-2,** წესების 310.4 ქვეთავის მიხედვით, აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები განთავსებულია მე-5 სართულიდან +13,10 მიშნულიდან მე-11 სართულის +32,90 ნიშნულის ჩათვლით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-18.6, (თითო დამკავებელზე) 1004 ქვეთავის და1004.1.2 ცხრილის მიხედვით. შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, მე-5 სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 21 დამკავებელს. ნე-6 სართულიდან მე-11სათულის ჩათვლით შეადგენს 47 დამკავებელს თითო სართულისთვის.

სულ სც-2 დაკავებულობის დატვირთვის ჯამია 303 დამკავებელი.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში განსაზღვრულ მოთხოვნებს.
პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი 1004,1.2 ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“
უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

პროექტი აკმაყოფილებს 3.თავის მოთხოვნებს, რაც ასახულია პროექტის შესაბამის გეგმებზე და ცხრილებში.

2. კონსტრუქცის ტიპების შეფასებას;

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია 721.1 ცხრილის მიხედვით) შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია I-B კონსტრუქციის ტიპი,როგორც მიწის დონის ზედა ასევე ქვედა სართულზე.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი

სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვით) აკმაყოფილებს წესების 601 ქვეთავს, 601 ცხრილის მოთხოვნებს,პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი 721 ქვეთვაში აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ 2 საათს, ხოლო სახურავის კონსტრუქციისთვის მინიმუმ 2 საათს და შეესაბამება 601ცხრილში I-B კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილში განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციული ტიპის დატვირთვის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასებას;

5. თავის დებულებები არეგულირებს ასაგები ნაგებობებისა და არსებული ნაგებობების მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს.

შენობა-ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503. ცხრილი მიხედვით. 602. ქვეთავის საფუძველზე განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და 302-ე ქვეთავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

(I-B)კონსტრუქციული ტიპიდან გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს I-B კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების 503-ე ცხრილის მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე და სართულიანობა სწ-2 დაკავებულობის ჯგუფისთვის 11 სართულია ფართობი 7340 კვ/მ.-ა პროექტის მიხედვით სწ-2 დაკავებულობის ფართობია 817,1 კვ/მ.-ა სვ, სქ და სც-2 დაკავებულობისთვის არის 11 სართული, ფართობები შეუზღუდავია. პროექტის მიხედვით სვ დაკავებულობის ფართობია 694.9 კვ/მ.-ა სც-2 დაკავებულობის ფართობია 4643.9 კვ/მ.-ა სქ დაკავებულობის ფართობია 2429.2 კვ/მ.-ა ხოლო დამხმარე ჯგუფის დაკავებულობის დს. სიმაღლის შეზღუდვაა 5 სართული, ფართობის 3300 კვ/მ.-ა პროექტის მიხედვით დს. დაკავებულობის სართულის რაოდენობაა 1 სართული. ფართობი 19,2 კვ/მ.-ა

დასაშვები სიმაღლე 48,8 საპროექტო შენობის შემოთავეზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ 11 სართული შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს 39,5 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან.

სიმაღლის და ფართობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

იხილეთ ცხრილი №1 და ცხრილი №2

ცხრილი №1

სიმაღლის შეზღუდვები		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. სასაწყობე ჯგუფი სწ-2	11	მიწის დონის ქვედა -1 სართული
2. სავაჭრო ჯგუფი სვ	11	მიწისპირა სართული
3. საქმიანი ჯგუფი სქ	11	2 სართულიდან 5 სართულის ჩათვლით
4. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	11	5 სართულიდან 11 სართულის ჩათვლით
5. დამხმარე ჯგუფი დს	შეუზღუდავი	მიწის დონის ქვედა 1 სართული
შენობის სიმაღლე =	48.80	39.60 მ
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =	11	11 სართული
მიწის დონის ქვედა სართულის რაოდენობა =	-------	1 სართული

ცხრილი №2

ფართობის შეზღუდვები		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი (ცხრილი 503)	შემოთავაზებული ფართობი
1. სასაწყობე ჯგუფი სწ-2	7340 მ^2	817.14 მ^2
2. სავაჭრო ჯგუფი სვ.	შეუზღუდავი	694.34 მ^2
3. საქმიანი ჯგუფი სქ.	შეუზღუდავი	2429.25 მ^2
4. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	შეუზღუდავი	4655.34 მ^2
5. დამხმარე ჯგუფი დს	შეუზღუდავი	19.18 მ^2
იატაკის საერთო ფართობი =	11077.8 მ^2	
იატაკების რაოდენობა =	მიწის დონის ზედა 11. მიწის დონის ქვედა 1 სართული	
შენობის საერთო ფართობი =	11458 მ^2	

წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება 5. თავის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელებთან მისასვლელების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

10. თავი არეგურილებს გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვით, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-**10** თავის შესაბამისად.
წესების მე-**10** თავის**1021.2** ქვეთავის,**1021.2(1)** და **1021.2(2)** ცხრილებიდან გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს, ემსახურება 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3** ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს. შიდა გასასვლელი მიწისპირა სართულზე გადის პიდაპირ ეზოში და შემდეგ უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ -3,00 ნიშნულზე განთავსებული დაკავებულობას (სწ- 2, ქვეჯგუფი) საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე (44 დამკავებელი) –

ემსახურება 2 გასასვლელი. რაც აკმაყოფილებს წესების 1021.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით. მიწის დონის ქვედა შიგა გასასვლელები გზა- კიბიეები პირდაპირ უკავშირდება საპროექტო ტერიტორიის ეზოს.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით პირველ, მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებული დაკავებულობებს (სვ ჯგუფს) საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე სწორადაა შერჩეული გასასვკლელების რაოდენობა.
როგორც უკვე აღინიშნა, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუ 2 საათს, რაც აკმაყოფილებს წესების 1009.3.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნებს,
საპროექტო შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ერთზე მეტი გასასვლელი, შესაბამისად წესების ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.
გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია1009 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 0,5 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს ,ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია1008 ქვეთავის შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ. გასასვლელები გრძელდება1027 ქვეთავის მიხედვით შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე. შენიშვნა:

1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა
გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

გასასვლელების, გასასვლელებთან მისასვლელების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

პროექტი შეესაბამება 10. თავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების 1009 ქვეთავის შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (7,6მმ) პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია (1.25) სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. შიგა და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებეს წესების1009.7, 1009.8 და 1009.15 ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეთავის მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩამსული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.
გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საცხოვრებელი სართულების დერეფნებში 1018.1 ცხრილის შესაბამისად დერეფნის კედლელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.5 საათი) მეტი - მინ. 2 სთ). დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1,2 მ) მეტი სიგანის დერეფანი, მინ.1,6 მეტრი.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ) გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს 0.82 მეტრს, ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ 0.90 მეტრს.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების 716.5 ქვეთავის მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით. შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელ და საქმიან ფართობებზე) რაოდენობა (1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (1004 ქვეთავი) და 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (5,1მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას. ასევე წესების 1017.5 ქვეთავის მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

შენიშვნა:
გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები წესების 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად
დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას,

პროექტი შეესაბამება 1005. ქვეთავის მოთხოვნებს.

გზა-კიბისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

6. მისაწვდომობის შეფასებას;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-11-თავის მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-11 თავის მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიწისქვეშა სართულებზე (-3,00 ნიშნულზე) განთავსებულია სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობები სადაც შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირები ხვდებიან, შენობაში არსებული ლიფტების მეშვეობით, რომელებიც თავის მხრივ უკავშირდება ყველა სართულს. საპროექტო შენობის პირველ, მიწისპირა სართულზე (0,00 ნიშნულზე) მისაწვდომობა შესაძლებელია მოწყობილი პანდუსი მეშვეობით რომელიც შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის 405-ე ქვეთავს. როგორც აღინიშნა მიწის დონის ქვედა და ზედა სართულებზე შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი სვლაგეზის უზრუნველყოფა ხორციელდება არსებული ლიფტის მეშვეობით, რომელიც მისაწვდომია, ლიფტი დამატებით აკამყოფილებს წესების 1702.4 ქვეთავის მოთხოვენებს ლიფტის კაბინის ზომებთან დაკავშირებით, რომლებშიც შესაძლებელია საკაცის განთავსება. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ლიფტების შახტი აღჭურვილია კვამლის საკონტოროლო სისტემით წესების 909.21 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების 1707 ქვეთავის მოთხოვნებს სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტებთან დაკავშირებით.
მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული განთავსებულია 1107.6.2.1.1 ქვეთავის მიხედვით. შშმ პირებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა უნდა იყოს ბინების საერთო რაოდენობის 2%, შენობა-ნაგებობაში ბინების რაოდენობა შეადგენს 103 ერთეულს, აქედან გამომდინარე გათვალისწინებულია ორი მისაწვდომი ა ტიპის ბინია, რომლების განლაგებულია მე-6 და მე-7 სართულებზე.
დაცულია აგრეთვე 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მოთხოვნა ავტოსადგომებთან დაკავშირებით. სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;
ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ის შესაბამისად:
შენობის ყველა სართულზე მოწყობილი იატაკი არის მყარი, მდგრადი და არასრიალა მასალით დაფარული. დონეთა ცვლილება შეესაბამება 302 და 303 ქვეთავებს. თითოეულ მისაწვდომ სივრცეში მოწყობილია 304.3.1 ქვეთავის მიხედვით მოსატრიალებელი სივცეები 1500 მმ. დიმატრით. გადაფარვა არ აღემატება 304.3.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ 250 მმ.-ს. ყველა მოსაბრუნებელი სივრცე აკმაყოფილებს 304 ქვეთავის მოთხოვნებს. იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივცეში აკმაყოფილებს 305.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს. თავისუალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ყველა შესაბამის მოწყობილობასთან დანადგართან და ავეჯთან გათვალისწინებულია 306 ქვეთავით მოთხოვნილი სივრცეები.
შენობაში მოწყობილი კარები და ბილიკები აკმაყოფილებს 402-403 ქვეთავის მოთხოვნებს. კარი და გზა-კარის თავისუფალი სიგანისა და კართან მანევრირების თავისუფალი სივრცის მიმართ მოთხოვნები გათვალისწინებულია 404 ქვეთავისა და ამავე ქვეთავში არსებული ცხრილების 404.2.3.2 და 404.2.3.3 შესაბამისად. ლიფტის კაბინა შეესაბამება 407-708-409 ქვეთავის მოთხოვნებს.
სახელურები კიბის უჯრედში მოწყობილია ორივე მხარეს და დაცულია მისი უწყვეტობა, მდებარეობა, სიმაღლე, თავისუფალი სივრცე, ხელმოსაჭიდი ზედაპირები, გაგრძელება კიბეების ბოლოებში 505 ქვეთავის შესაბამისად.
ხმოვანი და ვიზუალური განგაშისა და შეტყობინების მოწყობილობები, რომლებიც შენობის სახანძრო განგაშის სისტემის ნაწილს შეადგენენ უნდა დააყენდეს 106.2.4. ქვეთავით გასაზღვრული NFPA 72 -ის შესაბამისად, მუდმივი ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი იქნება გენერატორის საშუალებით,რომელიც განთავსებულია -2.80 მ. ნიშნები შეესაბამება 703-ე ქვეთავს. ტაქტილური ნიშნები უნდა მოიცავდეს როგორც ამობურცულ სიმბოლოებს ასევე ბრაილს.
საცხოვრებელ ერთეულებში აკმაყოფილებს 11 თავის მოთხოვნებს, კერძოდ სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების მოწყობა განსაზღვრულია წესების 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, დაგეგმარებულია შესაბამისი რაოდენობის ა და ბ ტიპის მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები, რომლებიც აკმაყოფილებს სტანდარტების 1103 და 1104 ქვეთავების ყველა აუცილებელ მოთხოვნას.
მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის

№41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 11. თავის მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად:

წარმოდგენილ პროექტში. ჩრდილოეთის მხრიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის 19,5 მ. შესაბამისად დასაშვები ღიობის ფართობი შეუზრუდავია. პროექტით ჩრდილოეთ მხრიდან წარმოდგენილია 38,4 %. სამხრეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9,7 მ. შესაბამისად დასაშვები ღიობის ფართობი შეუზრუდავია. პროექტით სამხრეთის მხრიდან წარმოდგენილია 34 %. აღმოსავლეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 7,5 მ. შესაბამისად დასაშვები ღიობის ფართობი საშხეფი სისტემის გარეშე 70 %-ია. წარმოდგენილ პროექტში აღმოსავლეთ მხრიდან ღიობების პროცენტული მაჩვენებელია 7,0 %. დასავლეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 5 მ. შესაბამისად დასაშვები ღიობის ფართობი საშხეფი სისტემის გარეშე 25 %-ია. წარმოდგენილ პროექტში აღმოსავლეთ მხრიდან ღიობების პროცენტული მაჩვენებელია 16 %.

(იხილეთ ცხრილი №3,)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად: ჩრდილოეთ ფასადის კედლისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 19,5 მ. და წესების 602 ცხრილის მიხედვით საჭიროებს 0 საათიან ხანძარმედეგობას გარე კედლებისთვის. წარმოდგენილ პროექტში ჩრდილოეთ მხრიდან კედლის ხანძარმედეგობის ხარისხი 2 საათიანია. სამხრეთ ფასადის კედლისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 9,7 მ. და წესების 602 ცხრილის მიხედვით საჭიროებს 0 საათიან ხანძარმედეგობას გარე კედლებისთვის. წარმოდგენილ პროექტში სამხრეთ მხრიდან კედლის ხანძარმედეგობის

ხარისხი 2 საათიანია. აღმოსავლეთ ფასადის კედლისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 7,5 მ. და წესების 602 ცხრილის მიხედვით საჭიროებს 1 საათიან ხანძარმედეგობას გარე კედლებისთვის. წარმოდგენილ პროექტში აღმოსავლეთ მხრიდან კედლის ხანძარმედეგობის ხარისხი 2 საათიანია. დასავლეთ ფასადზე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 5 მ. შესაბამისად წესების 602 ცხრილის მიხედვით საჭიროებს 1 საათიან ხანძარმედეგობას გარე კედლებისთვის. წარმოდგენილ პროექტში დასავლეთ მხრიდან კედლის ხანძარმედეგობის ხარისხი 2 საათიანია. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილების მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე 705.8.5 და 716 ქვეთავის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების 1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად , გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

შენიშვნა:
გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

ცხრილი №3

	გარე კედლის ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილი 705.8-ის მიხედვით				
გარე კედელი (ჩრდილო, სამხრეთ, დასავლეთ, აღმოსავლეთ)	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)			
		დასაშვები		გათვალისწინებული	
		დაცული	დაუცველი	დაცული	დაუცველი
ჩრდილოეთი	19.5 მ.	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	–	38.4 %
სამხრეთი	9.71 მ.	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	–	34.0 %
აღმოსავლეთი	7.5 მ.	70%	შეუზღუდავი	–	7.0 %
დასავლეთი	5.0 მ.	25%	75%	–	16.0 %

პროექტი აკმაყოფილებს 7 და 14. თავის მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასებას;

15. თავის დებულებებით რეგულირდება სახურავის ანაწყობებისა და სახურავზედა ნაგებობების დაგეგმარება, მასალები, მშენებლობა და ხარისხი.

სახურავმა უნდა დაიცვას შენობა-ნაგებობა ატმოსფერული ნალექებისგან და უზრუნველყოს გადახურვის კონსტრუქციის ქარმედეგობა.

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება I-**B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1.0 სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. შენობის გადახურვის ტიპი არის მონოლითური (ქანობით მინიმუმი 2%). გადახურვის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინა-ბეტონის

705.11 ქვეპუნქტის მე-3 გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება. მიუხედავად ამისა გათვალისწინებულია, შენობის სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია შიდა გასასვლელი გზა-კიბის მეშვეობით.

სახურავის ანაწყობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

წარმოდგენილი პროექტის სახურავის ანაწყობის კონსტრუქცია შეესაბამება 15. თავის მოთხოვნებს.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასებას

საპროექტო შენობა-ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს 703. თავის მოთხოვნებს. საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 5 შერეული დაკავებულობა სწ-2,დს, სვ,სქ და სც-2 ჯგუფების სახით. სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები -3,00 ნიშნულზე), სვ დაკავებულობები მიწისპირა სართულზეა განლაგებული. სქ. დაკავებულობის ჯგუფი განლაგებულია მე-2 სართულიდან მე-5 სართულის ჩათვლით. სც-2 (საცხოვრებელი დაკავაბულობები მე-5 სართულიდან მე-11 სართულის ჩათვლით) ჯგუფების დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ცეცხლმედეგი კედელბით , რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა და ბეტონის ბლოკის კედელბი. სც-2 (საცხოვრებელი დაკავებულობებში) ჯგუფის საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია, მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებითა და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების 420.3 ქვეთავის მოთხოვნებს. შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები და შიგა გასასვლელის გზა-კიბე შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედელბით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 713 ქვეთავის და 713.4 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 7. თავის მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

9 თავის დებულებები განსაზღვრავს, სად არის აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, ასევე, ეხება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაგეგმარებას, დაყენებას და მუშაობას.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემებით: ავტოსაშხეფი სისტემა (გამოყენებულია-3,00 ნიშნულზე) სახანძრო მილდგარების სისტემა (განსაზღვრულია ყველა დაკავებულობისთვის) სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (ყველა დაკავებულობაში) კვამლის საკონტროლო სისტემები (დერეფნები აღჭურვილია ჰაერის მექანიკური განიავების სისტემით,)

ხელის ცეცხლმაქრები (სწ-2, სქ, სვ და სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში) პროექტის მიხედვით შენობის -1 სართულზე (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი) მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემებით წესების 403.3, 903.2.8, 903.2.10 და 903.3.1.1 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად. ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების 903.3.1.1 და 903.3.5.2 ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს NFPA 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების 102.3 ქვეთავის მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელ შენობაში გათვალისწინებულია III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი მოთხოვნებს. მილდგარები ყველა სართულზე განთავსებულია კიბის უჯრედთან, ასევე შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის (სწ-2) ფართობებზე რაც აკმაყოფილებს წესების 905.4 ქვეთავის მოთხოვნებს წესების მე-9 თავის 907.2.8, 907.2.11.1 და 907.5.2.3.3-ე ქვეთავების შესაბმისად სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, ყველა საცხოვრებელ ერთეულში დაყენებულია სახანძრო განგაშის, ვიზუალური განგაშის შეტყობინების და კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მითითებული კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს წესების 907.2.13 და 907.2.14 ქვეთავების ყველა მოთხოვნას, ასევე 907.2 და 102.3 ქვეთავების მოთხოვნებს სისტემის მოწყობის სტანდარტთან დაკავშირებით. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებიდან და საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდინარე კვამლის საკონტროლო სისტემები უზრუნველყოფილია შენობის ლიფტის ნაწილში, ლიფტი მოწყობილია წესების 909.21 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდიანრე. (სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა) ლიფტები

დაგეგმარებულია წესების 713.14.1 ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხოლო საპროექტო შენობის მაღლივ ნაწილში განთავსებული სახანძრო შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 906.1 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია, სწ-2 და სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში 906 ქვეთავის შესაბამისად. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 912-ე ქვეთვის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, რამდენიმე ადგილას გამოყოფილია ადგილები სახანძრო- სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომლებიც ემსახურება შენობაში განთავსებულ სახანძრო მილდგარების და ავტოსაშხეფ სისტემებს.ავტოსაშხეფი სისტემებისთვის, საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ქვეშ დამატებით განთავსებულია წყლის რეზერვუარი. -3,00 ნიშნულზეა განთავსებული ოთახი, სახანძრო ტუმბოებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს წესების 913-ე თავის მოთხოვნებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოერბის წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აკამყოფილებდეს წესების 901

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის ელ. ვერსიაზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.“

უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნული არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამოდ, ავტომატურად გამოიწვევს საექსპერტო დასკვნისა და შეფასების გაუქმებას. ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორეკტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებას.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 9. თავის მოთხოვნებს.

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები					
	სწ-2	სც-2	სვ	სქ	დს
გათვალისწინებულია, თუ არა ავტოსაშხეფი სისტემა	კი	არა	არა	არა	კი
გათვალისწინებულია, თუ არა სახანძრო მილდგარების სისტემა	კი	კი	არა	კი	კი
გათვალისწინებულია, თუ არა კვამლის საკონტროლო სისტემა	კი	კი	კი	კი	კი
გათვალისწინებულია, თუ არა ხელის ცეცხლმაქრები	კი	კი	კი	კი	კი
გათვალისწინებულია, თუ არა სახანძრო გაწგაშის სისტემა	კი	კი	კი	კი	კი

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 9. თავის მოთხოვნებს.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები უნდა მიესადაგოს 1602.1 ცხრილს, თავშეყრის ჯგუფის მიხედვით.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად . პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის (სვ, სქ და სც-2) განსაზღვრულია წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობადა მინიმალური მოთხოვნები 1602.2 ქვეთავისა და 1602.1 ცხრილის მიხედვით. უნდა აღინიშნოს რომ, წესების 1602.3 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში (სწ-2) საზოგადოებრივი მოხმარების ტუალეტების განთავსება საჭირო არ არის. პროექტის მიხედვით სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული საცხოვრებელი ერთეულიდან(საცხოვრებელი ფართიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს. წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი1109.2 ქვეთავის მიხედვით. იხილეთ ცხრილი №4.

ცხრილი №4

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით								
დაკავებულობა	სწ-2 გარაჟი		სვ. სავაჭრო		სქ. საქმიანი		სც-2. საცხოვრებელი	
ფიქსირებული მოწყობილობა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
უნიტაზი 1	-	-	1	1	1	1	1	1
ტუალეტის ხელსაბანები 1	-	-	1	1	1	1	1	1
აბაზანა/შხაპი 1	-	-	-	-	-	-	1	1
სასმელი წყლის ფონტანი -	-	-	1	1	1	1	-	-
სამომსახურეო ნიჟარა -	-	-	1	1	1	1	1	1
სამზარეულოს ნიჟარა 1	-	-	-	-	-	-	1	1

წარმოდგენილ პროექტში. გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, დაკავებულობის ჯგუფისთვის 1602.1 ცხრილის მიხედვითაა დათვლილია და აკმაყოფილებს 16 თავის მოთხოვნებს.

შესაბამისად წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. საქართველოს ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016/01/28) ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი ცვლილების მიხედვით №498 2017/20/11.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

დასკვნას თან ერთვის (იხ. დანართი №1). არქიტექტორ დავით კურდღელი დიპლომის ასლი და მის მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტების ჩამონათვალი.



არქიტექტორი დ. კურდღელია

ტექნიკური რეგლამენტი

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საფუძველზე შეფასება:

მისაწვდომი სვლაგეზი:

- მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები;
- თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;
- პანდუსები;
- ლიფტები

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

- მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები;
- მისაწვდომი გზაკიბეები;
- ფანჯრები.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

- ტუალეტების ოთახები:
- უნიტაზები;
- ხელსაბანები;

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

- ნიშნები;

ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები:

- სავაჭრო მომსახურებისათვის განკუთვნილი დახლები.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

- „ა“ ტიპის ერთეული;
- „ბ“ ტიპის ერთეულები.

საექსპერტო შეფასება

მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნუკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი-ის“საქართველოს მთავრობის 2020 წლის 04 დეკემბრის 732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ობიექტის მისამართი:

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი. ვეფხვისტყაოსნის ქუჩა №20-22. (ს/კ 01.72.14.035.963.) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა.

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება : მრავალფუნქციური კომპლექსის

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი : შპს “ემ სი” ს/ნ 402043481

გამოკვლევა

1. მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არა უმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სავაჭრო ფართში, თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის

აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. პანდუსები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- პანდუსების დახრა არ არის 1/12-ზე მეტი, კერძოდ პანდუსების დახრის პროცენტულობა უტოლდება 8%-ს, რაც შეესაბამება 405.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ქანობი, რომელიც იზომება პანდუსების სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.

- პანდუსების თავისუფალი სიგანე ბორდიურებს შორის უტოლდება 900 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან.

- პანდუსების თავსა და ბოლოში უზრუნველყოფილია ბაქნები, ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს, ბაქნების თავისუფალი სიგანე უტოლდება პანდუსის სიგანეს, ბაქნების თავისუფალი სიგრძე აღემატება 1500 მმ-ს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.3 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვინაიდან პანდუსების ამაღლება ცდება 150 მმ-ს, პანდუსებს ემსახურება სახელურები, რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.

- პანდუსების კიდეები დაცულია ორივე მხარეს, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას. კიდეები დაცულია 100 მმ-იანი ბორდიურით, 405.9.2.1 ქვეთავის შესაბამისად.

5. შენობაში მოწყობილია 408 ქვეთავის შესაბამისი შეზღუდული გამოყენების ლიფტი. ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 408 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (408 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას,

აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- კაბინის კარი მდებარეობს კაბინის ვიწრო ბოლოსთან და მისი სუფთა სიგანე განსაზღვრულია 1000 მმ-ით, რაც შესაბამისობაში 408.3.3.1 ქვეთავთან.

- ლიფტის კაბინის იატაკის თავისუფალი ფართობის სიგანე 1500 მმ-ია, ხოლო თავისუფალი ფართობი 3,3 კვ.მ.-ის ტოლია, რაც შეესაბამება 408.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.

- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება.

მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი

ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას -„მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

2. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომიკიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 150 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას,

ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაცშეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ედადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.

- თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საგანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

- თავშესაფრის ფართობებთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით,დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები:

1. სავაჭრო მომსახურებისათვის განკუთვნილი დახლი შეესაბამება 904 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

- დახლის ყველა ნაწილი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.

- სალაროს დახლის ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება 904.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

1. საპროექტო შენობაში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

„ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.

- ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.

- სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.

- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- სარეცხი მანქანა შეესაბამება 611-ე ქვეთავს.

ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

✓ ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

✓ მისაწვდომი მოწყობილობები მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე.

✓ გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ

თავისუფალ სივრცეში.

✓ ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.

✓ უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.

✓ აბაზანა შეესაბამება 607-ე ქვეთავს.

✓ სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

„ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი

მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს,

თანახმად 1104.3.1 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.

- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას,

კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.

- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, თანახმად 1104.10.1 ქვეთავისა.

- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:

✓ კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.

✓ ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.

✓ უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.

✓ აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2 ქვეთავებს.

✓ სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შეფასება

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისი, სოფელი დიღომი. ვეფხვისტყაოსნის ქუჩა №20-22. (ს/კ 01.72.14.035.963.) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის, პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნულსატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე. მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

არქიტექტორი დ. ჯურდღელია

თარიღი: 01/02/2022

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 009031

This is to certify that Mr./Mrs. David Kurdgelia in the year 2002 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2002 Mr. David Kurdgelia is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi September 30, 2002

Registration № 06497 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 009031

მიეცა დავით ზაურის ძე კურდღელიას

მასზედ, რომ მან 2002 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

2002 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით

დავით ზაურის ძე კურდღელიას

მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია

რექტორი .....

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 30 სექტემბერი, 2002 წელი

სარეგისტრაციო № 06497 მდივანი .....

არქიტექტორ დავით კურდრელიას მიერ შესრულებული პროექტების ჩამონათვალი

1. ქ. ზუგდიდში საგანგებო სიტუაციების სამსახურის შენობის პროექტი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის პროექტი.

3. ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა № 89 სასტუმროს პროექტი.

4. ქ. ზუგდიდში, რუსთაველის № 90 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი.

5. თბილისში, სოფ. დიღომში მირიან მეფის ქუჩა № 8, საოფისე და ტექმომსახურების ცენტრის პროექტი.

6. ქ. ზუგდიდში, რუსთაველის № 153 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.

7. ქ. ზუგდიდში, სოხუმის № 12 ავტოსამრეცხაო კომპლექსის პროექტი.

8. ქ. ზუგდიდში, კიტიას № 21 კლინიკა „ნლი“ მესამე სართულის დაშენების პროექტი

9. ქ. ზუგდიდი თეატრის ქუჩა № 1 სასტუმროს პროექტი,

10. ზუგდიდი მუნიციპალიტეტი სოფ. განმუხური მრაავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი.

11. ზუგდიდი მუნიციპალიტეტი სოფ. ანაკლია მრაავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.

12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციული შენობა ნაგებობის
13. რეკონსტრუქციის პროექტი.

14. ქ. ზუგდიდი გ.გულუას ქუჩა № 6 ბენზოგასამართი სადგურის პროექტი.

15. ქალაქ თბილიში, მუხიანის ქუჩა №2ა-ში მდებარე ოთხ სართულიანი სამედიცინო კომპლექსის არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

16. ქალაქ თბილიში, ჩაჩავას ქუჩა №3-ში მდებარე სამ სართულიანი სამედიცინო გამაჯანსაღებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

17. ქ. თბილისი, ქუჩა წულუკიძე, #88-ის და #121-ე სკოლის მიმდებარედ; ქ. თბილისი, დასახლება ნავთლუღი, მე-7 ქუჩა, # 51ა; -ს მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

18. ქ. თბილისი, გამზირი გურამიშვილი, კორპუსი 41-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

19. ქ. ბათუმი, წმ. ანდრია პირველწოდებულის შესახვევი II #12-ში. მრავალფუნქციური ობიექტი (სასტუმრო). არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

20. ქ. ბათუმი, ქედის ქუჩა №10-ში მრავალბინიანი შვიდ სართულიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

21. ქ.ბათუმში ხიმშიაშვილის ქ №13-ის მოპირდაპირედ საზოგადოებრივი დანიშნულების (ნახევრად ღია მსუბუქი კონსტრუქციის) კაფე-ბარის არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.

22. ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №636-ში მრავალბინიანი შვიდ სართულიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა.



არქიტექტორი დ. ჯურდღელია